



## ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომის

№ 4

ქ. ბათუმი

2018 წლის 16 მარტი  
11<sup>00</sup> საათი

სხდომას თავმჯდომარეობდა ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე - სულიკო თებიძე

**ე ს წ რ ე ბ ო ღ ნ ე ნ :**

- |                      |  |
|----------------------|--|
| თამაზ სალუქვაძე      | - საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე   |
| ლაშა სირაბიძე        | - საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე;  |
| გოჩა მგელაძე         | - საკრებულოს ინფრასტრუქტურის განვითარების კომისიის თავმჯდომარე;                        |
| ირაკლი პატარიძე      | - საკრებულოს განათლების, კულტურის, ტურიზმისა და სპორტის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე; |
| დიმიტრი ჭეიშვილი     | - საკრებულოს ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე;                  |
| ზურაბ ნაკაიძე        | - საკრებულოს საფინანსო და ეკონომიკური განვითარების კომისიის თავმჯდომარე;               |
| ომარ მახარაძე        | - საკრებულოს იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე;                    |
| ნატალია ზოიძე        | - საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარე;            |
| ბესარიონ გოგოტიშვილი | - საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარის მოადგილე;  |

- ანზორ დევაძე - საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-მრეწველების“ თავმჯდომარე;
- ნატალია ძიძიგური - საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-კონსერვატორების“ თავმჯდომარე;
- ნერიმან ცინცაძე - საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-კონსერვატორების“ თავმჯდომარის მოადგილე;
- მირდატ ქამადაძე - საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარე;
- ნოდარ დუმბაძე - საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარის მოადგილე;
- დავით მახარაძე - საკრებულოს წევრი;
- თამაზ დევაძე - საკრებულოს წევრი;
- ელგუჯა ანდრიაძე - საკრებულოს წევრი;
- ირაკლი მიქელაძე -საკრებულოს წევრი;
- რაულ თავართქილაძე -საკრებულოს წევრი;
- არჩილ მამულაძე -საკრებულოს წევრი;
- მუხამედ ართმელაძე -საკრებულოს წევრი;
- როინ ზოიძე -საკრებულოს წევრი;
- ირაკლი თოფურიძე - საკრებულოს წევრი;

**არ ესწრებოდა:**

- ლევან ანთაძე -საკრებულოს წევრი;

**სხდომას ესწრებოდნენ:**

- ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი - ლ. კომახიძე;
- ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ვიცე-მერი - თ. პეტრიძე;
- ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე - ნ. სურმანიძე;
- ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის აპარატის უფროსი - ნ. დეკანაძე;

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქონების მართვისა და ეკონომიკური პოლიტიკის სამსახურის უფროსი- ე. ლომაძე;

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქონების მართვისა და ეკონომიკური პოლიტიკის სამსახურის საქალაქო ტრანსპორტის განყოფილების უფროსი- ე. ქავჭავაძე;

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის არქიტექტურისა და ურბანული დაგეგმარების სამსახურის უფროსის მოადგილე, უფროსის მ/შ-მ. მეტრეველი;

სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტის ბათუმის ფილიალის ხელმძღვანელი - ნათია აფხაზავა;

ახალგაზრდული ორგანიზაციის თავმჯდომარე - ნინო ჩხაიძე;

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მოქმედი რეგლამენტით გათვალისწინებული საკრებულოს აპარატის საჯარო მოხელეები: საკრებულოს აპარატის უფროსი-რაულ ბოლქვაძე; საკრებულოს იურიდიული განყოფილების უფროსი - სულიკო შვენთიძე; საქმისწარმოებისა და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსი - მადონა თურმანიძე, ამავე განყოფილების უფროსი სპეციალისტი - მზევინარ წულუკიძე; მასმედიასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი - ლელა ნემსაძე, ამავე განყოფილების უფროსი სპეციალისტი - ბადრი წულუკიძე.

პრესისა და მასმედიის წარმომადგენლები.

**სხდომის თავმჯდომარე ს. თებიძე სხდომის მონაწილეებს მიესალმა და საკრებულოს წევრებს გააცნო მორიგი სხდომის დღის წესრიგი:**

### **დ დ ი ს წ ე ს რ ი გ ი :**

1. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 29 აგვისტოს №19 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის აპარატის უფროსი - ნუკრი დეკანაძე)

2. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის აპარატის უფროსი - ნუკრი დეკანაძე)

3. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის აპარატის უფროსი - ნუკრი დეკანაძე)

4. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის აპარატის უფროსი - ნუკრი დეკანაძე)

5. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური პოლიტიკის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის აპარატის უფროსი - ნუკრი დეკანაძე)

6. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის აპარატის უფროსი - ნუკრი დეკანაძე)

7. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მობილიზაციის, სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის აპარატის უფროსი - ნუკრი დეკანაძე)

8. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის აპარატის უფროსი - ნუკრი დეკანაძე)

9. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის აპარატის უფროსი - ნუკრი დეკანაძე)

10. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის აპარატის უფროსი - ნუკრი დეკანაძე)

11. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის პოლიტიკური თანამდებობის პირების და პროფესიული საჯარო მოხელეების თანამდებობრივი სარგობის და საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის აპარატის უფროსი - ნუკრი დეკანაძე)

12. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საპატიო წოდებისა და ჯილდოს შემოღების და მინიჭების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის აპარატის უფროსი - ნუკრი დეკანაძე)

13. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოსათვის ა(ა)იპ „ბათუმის კორპუსი“-სა და ა(ა)იპ „ბათუმის ტურისტული ობიექტების მართვის სააგენტო“-ს ლიკვიდაციაზე და ა(ა)იპ „მუნიციპალური სერვისების სააგენტო“-სა და ა(ა)იპ „საქალაქო ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამმართველო“-ს დაფუძნებაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის აპარატის უფროსი - ნუკრი დეკანაძე)

14. „ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის უსასყიდლოდ, საკუთრების უფლებით გადაცემის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქონების მართვისა და ეკონომიკური პოლიტიკის სამსახურის უფროსი - ეგარსლან ლომაძე)

15. „თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის ტერიტორიაზე პარკირების საერთო ადგილებით და პარკირების სპეციალური ადგილებით სარგებლობისათვის საფასურის დადგენის შესახებ“ 2013 წლის 28 თებერვლის №4 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქონების მართვისა და ეკონომიკური პოლიტიკის სამსახურის საქალაქო ტრანსპორტის განყოფილების უფროსი - ემზარ ქავჭარაძე)

16. „ქალაქ ბათუმის გარკვეული ტერიტორიებისათვის განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის მოსამზადებლად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის არქიტექტურისა და ურბანული დაგეგმარების სამსახურის უფროსის მოადგილე, უფროსის მოვალეობის შემსრულებელი - მირიან მეტრეველი)

17. „ქალაქ ბათუმის გარკვეული ტერიტორიისათვის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის მოსამზადებლად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის არქიტექტურისა და ურბანული დაგეგმარების სამსახურის უფროსის მოადგილე, უფროსის მოვალეობის შემსრულებელი - მირიან მეტრეველი)

18. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ერთეულების შექმნისა და მათი საზღვრების დადგენის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 29 აგვისტოს №29 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის აპარატის უფროსი - ნუკრი დეკანაძე)

19. „თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის ტერიტორიაზე დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების შესახებ“ თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის საკრებულოს 2012 წლის 14 სექტემბრის №50 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

(მომხს: სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტის ბათუმის ფილიალის ხელმძღვანელი - ნათია აფხაზავა, თანამომხს: ახალგაზრდული ორგანიზაციის თავმჯდომარე - ნინო ჩხაიძე, თანამომხს: თავისუფალ ჟურნალისტთა ორგანიზაციის თავმჯდომარე - ასლან ჭანიძე)

20. „საქართველოს საერთო სასამართლოებში ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წარმომადგენლის დანიშვნის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის  
ოურიდიული განყოფილების უფროსი - სულიკო შვენთიძე)

საკრებულოს წევრმა მ. ქამადაძემ აღნიშნა, რომ მოქმედი კანონმდებლობისა და ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტით მონიჭებული უფლებამოსილების საფუძველზე წარმოდგენილი იყო ოკუპირებულ სამხრეთ ოსეთის/ცხინვალის რეგიონში საქართველოს მოქალაქე-არჩილ ტატუნაშვილის სიცოცხლის ხელყოფის თაობაზე მიმართვის პროექტი, რომლითაც მივმართავთ ადგილობრივ თვითმმართველობათა ასოციაციას. წარმოდგენილი პროექტი ემსახურება ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოზიციის გამოხატვას ქვეყანაში აგრესორი სახელმწიფოს გადადგმული ნაბიჯების მიმართ. განსაკუთრებით დიდ აღშფოთებას იწვევს ოკუპირებულ ტერიტორიაზე საქართველოს მოქალაქის არჩილ ტატუნაშვილის სიცოცხლის ხელყოფის ფაქტი. ცნობილია, რომ აგრესორი „ერთმორწმუნე“ სახელმწიფო ოჯახს არ უბრუნებს გარდაცვლილის ცხედარს. ამ ვითარებაში შეუძლებელია გულგრილი იყოს რომელიმე ჩვენი ქვეყნის ღირსეული მოქალაქე და იგი ხმამაღლა არ აპროტესტებდეს მომხდარს. ფრაქციას მიაჩნია, რომ ნებისმიერი ტრიბუნა უნდა იქნას ეფექტურად გამოყენებული, რათა კიდევ უფრო მეტად მივაწვდინოთ ხმა ჩვენს საერთაშორისო თანამეგობრებს-ერთიანი ძალისხმევით ვაიძულოთ რუსეთის ფედერაცია პირველ რიგში ცხედარი დაუბრუნოს ოჯახს, გაათავისუფლოს ორი საქართველოს მოქალაქე, მიეცეს ქვეყანას საქმის სრულყოფილი გამოძიებისა და გადაიდგას მკვეთრი ნაბიჯები, რათა საბოლოოდ მოხდეს ჩვენი ქვეყნის დეოკუპაცია. მიმართვა ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნულ ასოციაციადმი ემსახურება იმ ფაქტს, რომ ასოციაციის დელეგაციამ გამოიყენოს ყველა საერთაშორისო ტრიბუნა და რუსეთის აგრესიის წინააღმდეგ ქმედითი ნაბიჯების გადადგმისკენ მოუწოდოს ჩვენს საერთაშორისო თანამეგობრობას.

საკრებულოს წევრმა ო. მახარაძემ აღნიშნა, რომ ყველა ვართ ერთსულოვანი და საქართველოში მცხოვრებ ნებისმიერ მოქალაქეს თანაბრად სტკივა გული ჩვენი მოქალაქის გარდაცვალების გამო და ვუსამძიმრებთ გარდაცვლილის ოჯახს, ხოლო რაც შეეხება სამართლებრივ ნაწილს, წარმოდგენილი საკითხი ვერ იქნება შეტანილი დღის წესრიგში, ვინაიდან თვითმმართველობის კომპეტენციის ფარგლებს სცილდება მიმართვის პროექტი, რომელიც თავისი ფორმისა და შინაარსიდან გამომდინარე განეკუთვნება ცენტრალური ხელისუფლების კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხს. მიმართვის ფორმა მოცემულ საკითხზე შეიძლება მიიღოს საქართველოს პარლამენტმა, რომლის უშუალო უფლებამოსილებაა ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკის განსაზღვრა. აღნიშნული მიმართვის შინაარსი სცილდება საკრებულოს კომპეტენციის ფარგლებს.

საკრებულოს წევრი მ. ქამადაძე ითხოვდა დღის წესრიგში საკითხის დამატებით შეტანაზე უარის მიზეზს, რადგან საკრებულოს რეგლამენტის თანახმად, საკრებულოს წევრს აქვს ინიცირების შემოტანის უფლება. წარმოდგენილი საკითხი არის პოლიტიკური ხასიათის დოკუმენტი, რომლითაც მივმართავთ ადგილობრივ თვითმმართველობათა ასოციაციას.

საკრებულოს წევრმა ო. მახარაძემ აღნიშნა, რომ წარმოდგენილი მიმართვის პროექტი მიმართულია ადგილობრივი თვითმმართველობის ასოციაციის მიმართ, რათა გამოიყენოს ევროპული საბჭოს ტრიბუნა, მოუწოდოს რუსეთს, რომ არის აგრე-

სორი და ოკუპანტი ქვეყანა, მაგრამ საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა ასოციაციის წესდების თანახმად, ასოციაცია წარმოადგენს არასამეწარმეო და არაკომერციულ იურიდიულ პირს „კავშირს“, რომელიც აერთიანებს საქართველოში არსებულ ყველა ადგილობრივი თვითმმართველობის ერთეულს, რაც გულისხმობს იმას, რომ ის არ არის პოლიტიკური ორგანო და გამომდინარე აქედან, შესაბამისად ასეთი სახის განცხადებებით მიმართვა არამართებულია.

საკრებულოს წევრმა ნ. ზოიძემ განაცხადა, რომ დღის წესრიგში წარმოდგენილი საკითხი ვერ იქნება შეტანილი, რადგან სცილდება საკრებულოს კომპეტენციას.

სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ მას არ ეგულება არა მარტო საქართველოს, არამედ ნებისმიერი მოქალაქე, რომელიც მხარს უჭერს ძალადობას და აგრესიას, მაგრამ იგი მხარს ვერ დაუჭერს წარმოდგენილი ფორმით მიმართვის პროექტს, ვინაიდან მისი მიღება სცილდება საკრებულოს კომპეტენციას.

**სხდომის თავმჯდომარემ დღის წესრიგში ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მიერ წარმოდგენილი ინიციატივის- ოკუპირებულ სამხრეთ ოსეთის/ცხინვალის რეგიონში საქართველოს მოქალაქე-არჩილ ტატუნაშვილის სიცოცხლის ხელყოფის თაობაზე მიმართვის პროექტის დამატება დააყენა კენჭისყრაზე.**

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: - 23 საკრებულოს წევრი  
კენჭისყრისას სხდომას არ ესწრებოდა: 1(ი. თოფურიძე)

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 5 (მ. ქამადაძე, ნ. დუმბაძე, რ. ზოიძე,  
რ. თავართქილაძე, ა. მამულაძე)

წინააღმდეგი - 17  
არ მიიღო მონაწილეობა - 1(ი. მიქელაძე)

სხდომის თავმჯდომარემ ს. თებიძემ წარმოდგენილი დღის წესრიგი დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: - 23 საკრებულოს წევრი  
კენჭისყრისას სხდომას არ ესწრებოდა: 1(ი. თოფურიძე)

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 18  
წინააღმდეგი - 5 (მ. ქამადაძე, ნ. დუმბაძე, რ. ზოიძე,  
რ. თავართქილაძე, ა. მამულაძე)

საკრებულოს წევრმა ნ. დუმბაძემ აღნიშნა, რომ სამწუხაროა უმრავლესობის მიერ მიღებული გადაწყვეტილება, რაც ჩამოყალიბდა მეოთხე მოწვევის სა-კრებულოში, კანონით მინიჭებული საკრებულოს წევრის უფლებები იზღუდება.

საკრებულოს წევრმა დ. ჭეიშვილმა მწუხარება გამოხატა ა.ტატუნაშვილის ფაქტთან დაკავშირებით, უერთდება პათოსს იმ წერილისას, რომელიც ფრაქცია „ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ“ მოამზადა. ოჯახს უნდა დაუბრუნდეს გარდაცვლილის ცხედარი და მიეცეს საშუალება გარდაცვლილის დატირებისა. ხელისუფლება, საპატრიარქო, ოკუპირებულ ტერიტორიაზე მუშაობს ცხედრის დაბრუნებისათვის. გამომდინარე აქედან საგარეო უფლებებში ვერ ჩაერევა საკრებულოს მუნიციპალიტეტი.

საკრებულოს წევრმა მ. ქამადაძემ აღნიშნა, რომ საზოგადოებამ უნდა იცოდეს თუ რაზე ითქვა წარმოდგენილი მიმართვის პროექტის დღის წესრიგში შეტანაზე უარი. მიესალმება საერთაშორისო თანამეგობრობის ძალისხმევას ამ პროცესში და გამოხატავს მუდმივ მზადყოფნას, დეოკუპაციისთანავე ადგილობრივი თვითმმართველობის განვითარების პროცესში მიღებული და დაგროვილი გამოცდილება გაუზიაროს აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთის/ცხინვალის რეგიონის მოსახლეობას. საკრებულო მკაცრად გმობს ოკუპირებული სამხრეთ ოსეთის/ცხინვალის რეგიონში საქართველოს მოქალაქის არჩილ ტატუნაშვილის სიცოცხლის ხელყოფის ფაქტს და აღნიშნავს, რომ მომხდარზე სრული პასუხისმგებლობა ეკისრება ოკუპანტ სახელმწიფოს-რუსეთის ფედერაციას. საკრებულოს მიაჩნია, რომ რუსეთის ფედერაციამ უნდა შეწყვიტოს დესტრუქციული ქმედებები და მოახდინოს ჩვენი ქვეყნის დეოკუპაცია, რის გამოც საჭიროა მიმართვა საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა ასოციაციის მიმართ, რომ თავისი უფლებების ფარგლებში, გამოიყენოს ყველა საერთაშორისო ტრიბუნა და მოუწოდოს საერთაშორისო თანამეგობრობას, რათა მოხდეს საქართველოს მოქალაქე არჩილ ტატუნაშვილის ცხედარის გადმოცემა, ხოლო საქართველოს მოქალაქეებს ლევან ქუტაშვილსა და იოსებ პავლიაშვილს მიეცეთ საოკუპაციო ხაზის თავისუფლად გადმოკვეთის შესაძლებლობა. გაძლიერდეს ძალისხმევა, რათა ოკუპირებულ ტერიტორიებზე მოხდეს ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვა.

**საკრებულოს წევრებმა, ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრებმა მ. ქამადაძემ, ნ. დუმბაძემ, რ. ზოიძემ პროტესტის ნიშნად დატოვეს სხდომათა დარბაზი.**

საკრებულოს წევრმა რ. თავართქილაძემ აღნიშნა, რომ საკრებულოს წევრებს უნდა მიეცეთ თავისი აზრის გამოხატვის უფლება.

სხდომის თავმჯდომარემ ს. თებიძემ განაცხადა, დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის დაწყების თაობაზე და ასევე აღნიშნა, რომ სხდომას დროებით წარმართავს მოადგილე თამაზ სალუქვაძე.

საკრებულოსა და სხდომის თავმჯდომარემ საპატიო მიზეზით დატოვა სხდომათა დარბაზი.

**მ ო ს მ ი ნ ე ს :**

1. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 29 აგვისტოს №19 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის აპარატის უფროსი - ნუკრი დეკანაძე)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 29 აგვისტოს №19 დადგენილებაში შეტანილ იქნას ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების: ა) პირველი მუხლის მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:



„4. მერია, როგორც დაწესებულება (ადმინისტრაციული ორგანო), შედგება სტრუქტურული ერთეულებისაგან, რომლებიც ქმნიან მერიის ერთიან სისტემას. მერია საქართველოს კანონმდებლობისა და ამ დებულებით დადგენილი კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყოფს საქალაქო პოლიტიკის შემუშავებას, ქალაქის განვითარების სტრატეგიისა და პროგრამების მომზადებას, მათი განხორციელების კოორდინაციას და შესრულების ზედამხედველობას, მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული კერძო სამართლის იურიდიულ პირებთან ერთად მუნიციპალურ პროგრამათა განხორციელებას.“.

**ბ) მე-3 მუხლის მე-4 პუნქტი ამოღებულ იქნეს.**

**გ) მე-4 მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„ ვიცე-მერი და მოადგილეები მერის მიერ ფუნქციათა განაწილების შესაბამისად:

ა) ხელმძღვანელობენ მერის კომპეტენციის მიკუთვნებულ დარგებს;

ბ) ამზადებენ და მერს წარუდგენენ დასკვნებსა და რეკომენდაციებს შესაბამის დარგებში გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ;

გ) სფეროების მიხედვით კოორდინაციას უწევენ მერიის სტრუქტურული ერთეულების, ასევე მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული კერძო სამართლის იურიდიული პირების საქმიანობას;

დ) შესაბამისი სფეროების მიხედვით ორგანიზაციას უწევენ და აკონტროლებენ ბათუმის მერის და საკრებულოს გადაწყვეტილებების შესრულებას;

ე) თავისი უფლებამოსილების ფარგლებში გამოსცემენ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებს;

ვ) ასრულებენ მერის ცალკეულ დავალებებს.“.

**დ) მე-7 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

მერიის სტრუქტურული ერთეულები იქმნება მუნიციპალიტეტის უფლებამოსილებისთვის მიკუთვნებული სოციალურ-ეკონომიკური დარგების მართვისა და მერიის საქმიანობის უზრუნველყოფის მიზნით. მერიის სტრუქტურული ერთეულებია:

ა) ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაცია;

ბ) ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური;

გ) ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახური;

დ) ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური პოლიტიკის სამსახური;

ე) ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახური;

ვ) ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახური;

ზ) ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური;

თ) ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მობილიზაციის, სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახური;

ი) ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის სამსახური. სტრუქტურული ერთეულები უზრუნველყოფენ შესაბამის სფეროებში მუნიციპალური პოლიტიკის დაგეგმვას, მუნიციპალური პროგრამების შემუშავებასა და განხორციელებას, კოორდინაციას უწევენ შესაბამის სფეროებში მოქმედი მუნიციპალიტეტის დაქვემდებარებაში არსებული დაწესებულებების საქმიანობას, ახდენენ მერიის თანამდებობის პირებისა და მერიის სტრუქტურული ერთეულების

საქმიანობის ორგანიზაციულ, იურიდიულ, დოკუმენტურ, საინფორმაციო და მატერიალურ-ტექნიკურ უზრუნველყოფას.“.

**ე) მე-7 მუხლის მე-10 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„ სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის თანამდებობიდან გათავისუფლების, აგრეთვე, სამსახურებრივი ურთიერთობის შეჩერების საფუძვლები განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით.“.

**ვ) მე-7 მუხლის მე-11 პუნქტი ამოღებულ იქნეს.**

**ზ) მე-8 მუხლი ამოღებულ იქნეს.**

**თ) მე-9 მუხლის პირველ პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „დ“ ქვეპუნქტი:**

„დ) კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში, მერიის სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის დადგენილება.“.

**ი) მე-12 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

**„მუხლი 12. მერიის ერთიან სისტემაში არსებული თანამდებობები**

მერიის ერთიან სისტემაში შეიძლება არსებობდეს შემდეგი თანამდებობები:

ა) მერი;

ბ) ვიცე-მერი;

გ) მერის მოადგილე;

დ) პირველადი სტრუქტურული ერთეულის (ადმინისტრაცია, სამსახური) უფროსი;

ე) მეორადი სტრუქტურული ერთეულის (განყოფილება) უფროსი;

ვ) პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი;

ზ) მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი;

თ) მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი;

ი) პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი;

კ) მეორე კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი;

ლ) მესამე კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი.“.

სხდომის თავმჯდომარემ თ. სალუქვაძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 15 საკრებულოს წევრი

კენჭისყრისას სხდომას არ ესწრებოდა: 5 (ი. თოფურბე, ა. დევაძე,  
ლ. სირაბიძე, ნ. ზოიძე, დ. ჭეიშვილი)

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 15

წინააღმდეგი - 0

**დ ა ა დ გ ი ნ ე ს :** მიღებული იქნა წარმოდგენილი დადგენილების პროექტი.

**მ თ ი ს მ ი ნ ე ს :**

2. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის აპარატის უფროსი - ნუკრი დეკანაძე)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ.ბ“ ქვეპუ-

ნქტისა და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, წარმოდგენილია დასამტკიცებლად ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინი-სტრაციის დებულება. ეს დებულება განსაზღვრავს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის (შემდგომში - მერია) სტრუქტურული ერთეულის - მერიის ადმინისტრაციის (შემდგომში - ადმინისტრაცია) სამართლებრივ სტატუსს, სტრუქტურას, უფლებამოსილებასა და ანგარიშვალდებულებას, ასევე, აწესრიგებს მის საქმიანობასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს.

ადმინისტრაცია წარმოადგენს მერიის პირველად სტრუქტურულ ერთეულს, რომელიც შექმნილია საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ და მერიის დებულების შესაბამისად.

1. ადმინისტრაციის სტრუქტურული ქვედანაყოფი იქმნება ადმინისტრაციის გამგებლობას მიკუთვნებული უფლება-მოვალეობების განხორციელების უზრუნველსაყოფად.

2. ადმინისტრაციის სტრუქტურული ქვედანაყოფებია:

ა) სამართლებრივი უზრუნველყოფის განყოფილება;

ბ) სასამართლოსთან ურთიერთობის და ადმინისტრაციული დავების განყოფილება;

გ) საქმისწარმოების განყოფილება;

დ) მედიასა და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილება;

ე) საჯარო ინფორმაციის და არქივის განყოფილება;

ვ) ადამიანური რესურსების მართვის განყოფილება;

ზ) მატერიალური და ტექნიკური უზრუნველყოფის განყოფილება;

თ) მოქალაქეთა საკითხების განყოფილება.

3. განყოფილებების ფუნქციები განისაზღვრება ამ დებულებით.

ადმინისტრაციის დებულებას მერის წარდგინებით ამტკიცებს საკრებულო.

დებულებაში ცვლილებების შეტანა ხდება მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

სხდომის თავმჯდომარემ თ. სალუქვაძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 17 საკრებულოს წევრი

კენჭისყრისას სხდომას არ ესწრებოდა: 3 (ი. თოფურიძე, ა. დევაძე, ნ. ზოიძე)

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 17

წინააღმდეგი - 0

**და ა ა დ გ ი ნ ე ს :** მიღებული იქნა წარმოდგენილი დადგენილების პროექტი.

**მ თ ი ს მ ი ნ ე ს :**

3. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის აპარატის უფროსი - ნუკრი დეკანაძე)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ.ბ“ ქვეპუნქტისა და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ეს დებულება განსაზღვრავს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის (შემდგომში - მერია) სტრუქტურული ერთეულის - მერიის ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახურის (შემდგომში - სამსახური) სამართლებრივ სტატუსს, სტრუქტურას, უფლებამოსილებასა და ანგარიშვალდებულებას, ასევე აწესრიგებს მის საქმიანობასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს.

სამსახური წარმოადგენს მერიის პირველად სტრუქტურულ ერთეულს, რომელიც შექმნილია საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ და მერიის დებულების შესაბამისად.

სამსახურის საქმიანობის პრინციპებია:

- ა) მოქალაქეთა კონსტიტუციური უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა;
- ბ) კანონის წინაშე თანასწორობა;
- გ) საქმიანობა კანონმდებლობის საფუძველზე;
- დ) ეკონომიურობა და ეფექტიანობა;
- ე) დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელება კანონმდებლობის საფუძველზე;
- ვ) საქმიანობის განხორციელება საჯარო და კერძო ინტერესების ურთიერთგაწონასწორებით;
- ზ) მიუკერძოებლობა;
- თ) საქვეყნობა და საჯაროობა;
- ი) სამართლებრივი სახელმწიფოს საქმიანობის სხვა პრინციპები.

სამსახურის სტრუქტურული ქვედანაყოფი იქმნება სამსახურის გამგებლობას მიკუთვნებული უფლება-მოვალეობების განხორციელების უზრუნველსაყოფად.

სამსახურის სტრუქტურული ქვედანაყოფებია:

- ა) ქალაქგეგმარებისა და ურბანული პოლიტიკის განყოფილება;
  - ბ) საპროექტო და სამშენებლო ნებართვების განყოფილება;
  - გ) ისტორიული განაშენიანების ზონის განვითარების განყოფილება;
  - დ) საპროექტო და სამშენებლო ზედამხედველობის განყოფილება.
- განყოფილებების გამგებლობას მიკუთვნებული უფლება-მოვალეობები განისაზღვრება წინამდებარე დებულებით.

სამსახურის დებულებას მერის წარდგინებით ამტკიცებს საკრებულო.

დებულებაში ცვლილებების შეტანა ხდება მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

სხდომის თავმჯდომარემ თ. სალუქვაძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 17 საკრებულოს წევრი

კენჭისყრისას სხდომას არ ესწრებოდნენ: 3 (ი. თოფურიძე, ა. დევაძე, ნ. ზომიძე)

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 17

წინააღმდეგი - 0

დ ა ა დ გ ი ნ ე ს :

მიღებული იქნა წარმოდგენილი  
დადგენილების პროექტი.

მ თ ი ს მ ი ნ ე ს :

4. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის აპარატის უფროსი - ნუკრი დეკანაძე)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ.ბ“ ქვეპუნქტისა და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, დამტკიცდეს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახურის დებულება.

ეს დებულება განსაზღვრავს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის (შემდგომში - მერია) სტრუქტურული ერთეულის - მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახურის (შემდგომში - სამსახური) სამართლებრივ სტატუსს, სტრუქტურას, უფლებამოსილებასა და ანგარიშვალდებულებას, ასევე, აწესრიგებს მის საქმიანობასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს.

სამსახური წარმოადგენს მერიის პირველად სტრუქტურულ ერთეულს, რომელიც შექმნილია საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ და მერიის დებულების შესაბამისად.

სამსახურის საქმიანობის პრინციპებია:

ა) მოქალაქეთა კონსტიტუციური უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა;

ბ) კანონის წინაშე თანასწორობა;

გ) საქმიანობა კანონმდებლობის საფუძველზე;

დ) ეკონომიურობა და ეფექტიანობა;

ე) დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელება კანონმდებლობის საფუძველზე;

ვ) საქმიანობის განხორციელება საჯარო და კერძო ინტერესების ურთიერთგაწონასწორებით;

ზ) მიუკერძოებლობა;

თ) საქვეყნობა და საჯაროობა;

ი) სამართლებრივი სახელმწიფოს საქმიანობის სხვა პრინციპები.

. სამსახურის სტრუქტურული ქვედანაყოფი იქმნება სამსახურის გამგებლობას მიკუთვნებული უფლება-მოვალეობების განხორციელების უზრუნველსაყოფად.

სამსახურის სტრუქტურული ქვედანაყოფებია:

ა) განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის პოლიტიკის განყოფილება;

ბ) განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის პროგრამების მართვის განყოფილება;

გ) განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის ორგანიზაციებთან ურთიერთობის განყოფილება;

დ) საერთაშორისო და ეთნიკურ უმცირესობებთან ურთიერთობის განყოფილება.

განყოფილებების გამგებლობას მიკუთვნებული უფლება-მოვალეობები განისაზღვრება წინამდებარე დებულებით.

სხდომის თავმჯდომარემ თ. სალუქვაძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 18 საკრებულოს წევრი  
კენჭისყრისას სხდომას არ ესწრებოდნენ: 2 (ა. დევაძე, ნ. ზოიძე)

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 18  
წინააღმდეგი - 0

**და ა ა დ გ ი ნ ე ს :** მიღებული იქნა წარმოდგენილი დადგენილების პროექტი.

**მ თ ი ს მ ი ნ ე ს :**

5. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური პოლიტიკის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის აპარატის უფროსი - ნუკრი დევანაძე)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ.ბ“ ქვეპუნქტისა და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად,

დამტკიცდეს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური პოლიტიკის სამსახურის დებულება.

სამსახურის სტრუქტურული ქვედანაყოფი იქმნება სამსახურის გამგებლობას მიკუთვნებული უფლება-მოვალეობების განხორციელების უზრუნველსაყოფად.

სამსახურის სტრუქტურული ქვედანაყოფებია:

ა) მუნიციპალური პოლიტიკის დაგეგმვის, რისკების მართვისა და მონიტორინგის განყოფილება;

ბ) საინვესტიციო პოლიტიკის და საგრანტო პროგრამების მართვის განყოფილება;

გ) საქალაქო ტრანსპორტის და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის პოლიტიკის განყოფილება.

განყოფილებების გამგებლობას მიკუთვნებული უფლება-მოვალეობები განისაზღვრება წინამდებარე დებულებით.

სამსახურის დებულებას მერის წარდგინებით ამტკიცებს საკრებულო.

დებულებაში ცვლილებების შეტანა ხდება მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

სხდომის თავმჯდომარემ თ. სალუქვაძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 18 საკრებულოს წევრი  
კენჭისყრისას სხდომას არ ესწრებოდა: 2 (ა. დევაძე, ი. მიქელაძე)

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 18  
წინააღმდეგი - 0

**და ა ა დ გ ი ნ ე ს :** მიღებული იქნა წარმოდგენილი დადგენილების პროექტი.

**მ თ ი ს მ ი ნ ე ს :**

**6. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.**

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის აპარატის უფროსი- ნუკრი დევანაძე)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ.ბ“ ქვეპუნქტისა და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, დამტკიცდეს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის დებულება.

ეს დებულება განსაზღვრავს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის (შემდგომში - მერია) სტრუქტურული ერთეულის - მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის (შემდგომში - სამსახური) სამართლებრივ სტატუსს, სტრუქტურას, უფლებამოსილებასა და ანგარიშვალდებულებას, ასევე აწესრიგებს მის საქმიანობასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს.

სამსახური წარმოადგენს მერიის პირველად სტრუქტურულ ერთეულს, რომელიც შექმნილია საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ და მერიის დებულების შესაბამისად.

სამსახურის სტრუქტურული ქვედანაყოფი იქმნება სამსახურის გამგებლობას მიკუთვნებული უფლება-მოვალეობების განხორციელების უზრუნველსაყოფად.

სამსახურის სტრუქტურული ქვედანაყოფებია:

ა) მუნიციპალური ქონების პოლიტიკის და განკარგვის განყოფილება;

ბ) საკუთრების აღიარების განყოფილება;

გ) ეკონომიკური საქმიანობის ნებართვების განყოფილება;

დ) ადმინისტრაციული ზედამხედველობის განყოფილება;

ე) საქალაქო მუნიციპალური სერვისების და ორგანიზაციების კოორდინაციის განყოფილება.

განყოფილებების გამგებლობას მიკუთვნებული უფლება-მოვალეობები განისაზღვრება წინამდებარე დებულებით.

სამსახურის სტრუქტურაში არსებული თანამდებობები დგინდება მერიის სამტატო ნუსხით.

სამსახურის საჯარო მოსამსახურეები ახორციელებენ ამ დებულებით, თანამდებობრივი ინსტრუქციებით და სამსახურის უფროსის დავალებით განსაზღვრულ ფუნქციებს.

სამსახურის საჯარო მოსამსახურე ვალდებულია დაიცვას საქართველოს კანონმდებლობა, მერიის შინაგანაწესი, საკრებულოს, მერის და სამსახურის უფროსის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები.

სხდომის თავმჯდომარემ თ. სალუქვაძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 18 საკრებულოს წევრი  
კენჭისყრისას სხდომას არ ესწრებოდნენ: 2 (ა. დევაძე, ი. მიქელაძე)

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 18  
წინააღმდეგი - 0

**და ა ა დ გ ი ნ ე ს :** მიღებული იქნა წარმოდგენილი დადგენილების პროექტი.

**მ თ ი ს მ ი ნ ე ს :**

7. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მობილიზაციის, სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის აპარატის უფროსი - ნუკრი დეკანაძე)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ.ბ“ ქვეპუნქტისა და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, დამტკიცდეს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მობილიზაციის, სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურის დებულება.

ეს დებულება განსაზღვრავს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის (შემდგომში - მერია) სტრუქტურული ერთეულის - მერიის მობილიზაციის, სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურის (შემდგომში - სამსახური) სამართლებრივ სტატუსს, სტრუქტურას, უფლებამოსილებასა და ანგარიშვალდებულებას, ასევე, აწესრიგებს მის საქმიანობასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს.

სამსახური წარმოადგენს მერიის პირველად სტრუქტურულ ერთეულს, რომელიც შექმნილია საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ და მერიის დებულების შესაბამისად.

სამსახურის სტრუქტურული ქვედანაყოფი იქმნება სამსახურის გამგებლობას მიკუთვნებული უფლება-მოვალეობების განხორციელების უზრუნველსაყოფად.

სამსახურის სტრუქტურული ქვედანაყოფებია:

- ა) პირველადი სამხედრო აღრიცხვის განყოფილება;
- ბ) გაწვევის განყოფილება;
- გ) მობილიზაციის განყოფილება.



განყოფილებების გამგებლობას მიკუთვნებული უფლება-მოვალეობები განისაზღვრება წინამდებარე დებულებით.

სხდომის თავმჯდომარემ თ. სალუქვაძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 18 საკრებულოს წევრი  
კენჭისყრისას სხდომას არ ესწრებოდა: 2 (დ. ჭეიშვილი, ი. მიქელაძე)

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 18  
წინააღმდეგი - 0

**დ ა ა დ გ ი ნ ე ს :** მიღებული იქნა წარმოდგენილი დადგენილების პროექტი.

**მ თ ი ს მ ი ნ ე ს :** 8. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის აპარატის უფროსი - ნუკრი დეკანაძე)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ.ბ“ ქვეპუნქტისა და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, დამტკიცდეს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის დებულება.

ეს დებულება განსაზღვრავს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის (შემდგომში - მერია) სტრუქტურული ერთეულის - მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის (შემდგომში - სამსახური) სამართლებრივ სტატუსს, სტრუქტურას, უფლება-მოვალეობასა და ანგარიშვალდებულებას, ასევე, აწესრიგებს მის საქმიანობასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს.

სამსახური წარმოადგენს მერიის პირველად სტრუქტურულ ერთეულს, რომელიც შექმნილია საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ და მერიის დებულების შესაბამისად.

სამსახურის სტრუქტურული ქვედანაყოფი იქმნება სამსახურის გამგებლობას მიკუთვნებული უფლება-მოვალეობების განხორციელების უზრუნველსაყოფად.

სამსახურის სტრუქტურული ქვედანაყოფებია:

- ა) საბიუჯეტო განყოფილება;
- ბ) საბუღალტრო აღრიცხვა-ანგარიშგების განყოფილება;
- გ) შესყიდვების განყოფილება.

განყოფილებების გამგებლობას მიკუთვნებული უფლება-მოვალეობები განისაზღვრება წინამდებარე დებულებით.

სხდომის თავმჯდომარემ თ. სალუქვაძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 18 საკრებულოს წევრი

კენჭისყრისას სხდომას არ ესწრებოდა: 2 (დ. ჭეიშვილი, ი. მიქელაძე)

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 18  
წინააღმდეგი - 0

**დ ა ა დ გ ი ნ ე ს :** მიღებული იქნა წარმოდგენილი დადგენილების პროექტი.

**მ თ ი ს მ ი ნ ე ს :**

**9. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.**

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის აპარატის უფროსი - ნუკრი დეკანაძე)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ საქართველოს ორგანული კანონის „ადგი-ლობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ.ბ“ ქვეპუნქტის, 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა.ბ“ ქვეპუნქტის და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, დამტკიცდეს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის სამსახურის დებულება.

ეს დებულება განსაზღვრავს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის (შემდგომში - მერია) სტრუქტურული ერთეულის - მერიის შიდა აუდიტის სამსახურის (შემდგომში - სამსახური) სამართლებრივ სტატუსს, სტრუქტურას, უფლებამოსილებასა და ანგარიშვალდებულებას, ასევე, აწესრიგებს მის საქმიანობასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს.

სამსახური წარმოადგენს მერიის პირველად სტრუქტურულ ერთეულს, რომელიც შექმნილია საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“, „სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონისა და მერიის დებულების შესაბამისად.

სამსახურის სტრუქტურული ქვედანაყოფი იქმნება სამსახურის გამგებლობას მიკუთვნებული უფლება-მოვალეობების განხორციელების უზრუნველსაყოფად.

სამსახურის სტრუქტურული ქვედანაყოფებია:

- ა) შიდა აუდიტის განყოფილება;
- ბ) რეკომენდაციების მონიტორინგის განყოფილება.

განყოფილებების გამგებლობას მიკუთვნებული უფლება-მოვალეობები განისაზღვრება წინამდებარე დებულებით.

სხდომის თავმჯდომარემ თ. სალუქვაძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 18 საკრებულოს წევრი  
კენჭისყრისას სხდომას არ ესწრებოდა: 2 (დ. ჭეიშვილი, ი. მიქელაძე)

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 18  
წინააღმდეგი - 0

დ ა ა დ გ ი ნ ე ს :

მიღებული იქნა წარმოდგენილი  
დადგენილების პროექტი.

მ თ ი ს მ ი ნ ე ს :

10. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის  
ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის  
დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის  
მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების  
პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის აპარატის უფროსი - ნუკრი  
დეკანაძე)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი  
თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ.ბ“ ქვეპუნქტისა  
და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის პირველი  
პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, დამტკიცდეს ქალაქ ბათუმის მუნიციპა-  
ლიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის დებულება.

ეს დებულება განსაზღვრავს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის (შემ-  
დგომში - მერია) სტრუქტურული ერთეულის - მერიის ჯანმრთელობისა და სოცია-  
ლური დაცვის სამსახურის (შემდგომში - სამსახური) სამართლებრივ სტატუსს,  
სტრუქტურას, უფლებამოსილებასა და ანგარიშვალდებულებას, ასევე, აწესრიგებს  
მის საქმიანობასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს.

სამსახური წარმოადგენს მერიის პირველად სტრუქტურულ ერთეულს, რომე-  
ლიც შექმნილია საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართვე-  
ლობის კოდექსი“ და მერიის დებულების შესაბამისად.

სამსახურის სტრუქტურული ქვედანაყოფი იქმნება სამსახურის გამგებლობას  
მიკუთვნებული უფლება-მოვალეობების განხორციელების უზრუნველსაყოფად.

სამსახურის სტრუქტურული ქვედანაყოფებია:

- ა) ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პოლიტიკის განყოფილება;
- ბ) ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროგრამების მართვის განყოფილება;
- გ) სანიტარიული ზედამხედველობის განყოფილება;
- დ) სოციალური და ჯანდაცვის ორგანიზაციებთან ურთიერთობის განყოფილება.

განყოფილებების გამგებლობას მიკუთვნებული უფლება-მოვალეობები  
განისაზღვრება წინამდებარე დებულებით.

სხდომის თავმჯდომარემ თ. სალუქვაძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა  
კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 18 საკრებულოს წევრი  
კენჭისყრისას სხდომას არ ესწრებოდა: 2 (დ. ჭეიშვილი, ი. მიქელაძე)

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 18  
წინააღმდეგი - 0

დ ა ა დ გ ი ნ ე ს :

მიღებული იქნა წარმოდგენილი  
დადგენილების პროექტი.

**მ თ ი ს მ ი ნ ე ს :**

**11. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის პოლიტიკური თანამდებობის პირების და პროფესიული საჯარო მოხელეების თანამდებობრივი სარგოების და საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.**

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის აპარატის უფროსი- ნუკრი დეკანაძე)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ.ბ“ და „დ.ე“ ქვეპუნქტების, 53-ე მუხლის, საქართველოს კანონის „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ მე-8 მუხლის მე-2 პუნქტის, მე-19 მუხლის და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, დამტკიცდეს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის პოლიტიკური თანამდებობის პირების და პროფესიული საჯარო მოხელეების თანამდებობრივი სარგოები და საშტატო ნუსხა.

დანართი თან ერთვის.

სხდომის თავმჯდომარემ თ. სალუქვაძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 18 საკრებულოს წევრი  
კენჭისყრისას სხდომას არ ესწრებოდნენ: 2 (დ. ჭეიშვილი, ი. მიქელაძე)

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 18  
წინააღმდეგი - 0

**დ ა ა დ გ ი ნ ე ს :** მიღებული იქნა წარმოდგენილი დადგენილების პროექტი.

**მ თ ი ს მ ი ნ ე ს :**

**12. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საპატიო წოდებისა და ჯილდოს შემოღების და მინიჭების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.**

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის აპარატის უფროსი - ნუკრი დეკანაძე)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა.დ“ ქვეპუნქტის და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, დამტკიცდეს „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საპატიო წოდებისა და ჯილდოს შემოღების და მინიჭების წესი“.

ეს წესი შემუშავებულია საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა.დ“ ქვეპუნქტის

შესაბამისად და განსაზღვრავს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საპატიო წოდების მინიჭების საფუძვლებს და განხილვის წესს.

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საპატიო წოდებად განისაზღვროს:

- ა) საპატიო ბათუმელი;
- ბ) ბათუმის საპატიო მოქალაქე;
- გ) დამსახურებული მოღვაწე;

საპატიო ბათუმელის წოდება შესაძლებელია მიენიჭოს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ ან/და ბათუმში დაბადებულ საქართველოს მოქალაქეს, რომელიც უკანასკნელი 10 წელი მაინც ცხოვრობდა ბათუმში და საზოგადოებრივი, პროფესიული ან/და სხვა საქმიანობით/მოღვაწეობით:

ა) განსაკუთრებული დამსახურება აქვს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის და საქართველოს წინაშე;

ბ) მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ან/და საქართველოს განვითარების საქმეში;

გ) მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა საზოგადოებრივი ცნობიერების განვითარების საქმეში ქალაქის, ქვეყნის ან/და საერთაშორისო მასშტაბით;

დ) მხარი დაუჭირა და განახორციელა საზოგადოებრივი მნიშვნელობის ეკონომიკური, სოციალური ან/და სხვა პროგრამები/პროექტები;

ე) პროფესიული ან სხვა საქმიანობით მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ქვეყნის და ქალაქის პოპულარიზაციის საქმეში და ა.შ.

ბათუმის საპატიო მოქალაქის წოდება შესაძლებელია მიენიჭოს საქართველოს მოქალაქეს, რომელიც არ ცხოვრობს ქალაქ ბათუმში, ასევე უცხო ქვეყნის მოქალაქესა და განსაკუთრებულ შემთხვევებში, მოქალაქეობის არმქონე პირს, რომელსაც თავისი საზოგადოებრივი, პროფესიული, სამეცნიერო ან/და სხვა საქმიანობით (მოღვაწეობით):

ა) განსაკუთრებული დამსახურება აქვს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ან/და საქართველოს წინაშე;

ბ) მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ან/და საქართველოს განვითარების საქმეში;

საპატიო წოდების მისანიჭებლად კანდიდატურის წამოყენების უფლება აქვს:

ა) საქართველოს და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის წარმომადგენლობითი და სამთავრობო დაწესებულებების ხელმძღვანელებს;

ბ) ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს და მერს;

გ) ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს;

დ) საზოგადოებრივ, პროფესიულ და შემოქმედებით ორგანიზაციებს;

ე) არანაკლებ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ ამომრჩეველთა 50-კაციან საინიციატივო ჯგუფს ან/და საპატიო წოდების მფლობელ 10 პიროვნებას.

**ა ზ რ ი**

**გ ა მ ო თ ქ ვ ე ს :**

საკრებულოს წევრმა ა. მამულაძემ აღნიშნა, რომ ხანგრძლივი და წარმატებული საქმიანობისათვის არანაკლებ 30 წლიანი გამოცდილება ადამიანისათვის ბევრია, ასევე დასვა შეკითხვა საპატიო წოდების მისანიჭებლად კანდიდატურის წამოყენების

უფლება ერთდროულად აქვს, როგორც საკრებულოს თავმჯდომარეს, ასევე საკრებულოს, რაზედაც მომხსენებელმა განმარტა, რომ საკრებულოს თავმჯდომარეს, როგორც პოლიტიკური თანამდებობის პირს კანდიდატურის წამოყენების უფლება აქვს და ასევე საკრებულოს, როგორც კოლეგიალურ ორგანოს.

საკრებულოს წევრმა ზ. ნაკაიძემ დასვა შეკითხვა საბჭოს შემადგენლობის თაობაზე, რაზედაც მომხსენებელმა განმარტა, რომ საბჭო შედგება არანაკლებ 30 წევრისაგან.

საკრებულოს წევრებმა წამოაყენეს წინადადება პროექტში ცვლილების შეტანაზე, რომ გაკეთდეს შემდეგი ჩანაწერი: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრები, არანაკლებ 3 წევრისა.

**დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის განხილვისას სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს თავმჯდომარე სულიკო თებიძე.**

სხდომის თავმჯდომარემ ს. თებიძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 20 საკრებულოს წევრი  
კენჭისყრისას სხდომას არ ესწრებოდა: 1 (ი. მიქელაძე)

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 20  
წინააღმდეგი - 0

**და ა ა დ გ ი ნ ე ს :** მიღებული იქნა წარმოდგენილი დადგენილების პროექტი.

**მ თ ი ს მ ი ნ ე ს :**

13. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოსათვის ა(ა)იპ „ბათუმის კორპუსი“-სა და ა(ა)იპ „ბათუმის ტურისტული ობიექტების მართვის სააგენტო“-ს ლიკვიდაციაზე და ა(ა)იპ „მუნიციპალური სერვისების სააგენტო“-სა და ა(ა)იპ „საქალაქო ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამმართველო“-ს დაფუძნებაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის აპარატის უფროსი - ნუკრი დეკანაძე)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 106<sup>1</sup> მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელ ორგანოს მიეცეს თანხმობა მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით მოახდინოს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების „ბათუმის კორპუსი“-სა (ს/კ №445413525) და „ბათუმის ტურისტული ობიექტების მართვის სააგენტო“-ს (ს/კ №445475405) ლიკვიდაცია და ამ მიზნით განახორციელოს შესაბამისი ღონისძიებები.

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელ ორგანოს მიეცეს თანხმობა მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით მოახდინოს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების „მუნიციპალური სერვისების სააგენტო“-სა და „საქალაქო ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამმართველო“-ს დაფუძნება და ამ მიზნით განახორციელოს შესაბამისი ღონისძიებები.

## ა ზ რ ი

### გ ა მ ო თ ქ გ ე ს :

საკრებულოს წევრმა ნ. ზოიძემ დასვა შეკითხვა „მუნიციპალური სერვისების სააგენტო“-სა და „საქალაქო ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამმართველო“-ს ფუქციების გადანაწილების თაობაზე, რაზედაც მომხსენებელმა განმარტა, რომ „საქალაქო ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამმართველო ფუძნდება ტურისტული ობიექტებისა და ბათუმის კორპუსის ბაზაზე, ხოლო „მუნიციპალური სერვისების სააგენტო არის ახალი ორგანიზაცია, რომლის ფუნქცია არ არსებობდა ცალკე სახით, მერის საარჩევნო სტრატეგიის ძირითადი ნაწილი იყო მუნიციპალური სერვისების ხელმისაწვდომობა, მოქალაქეზე ორიენტირებული თვითმმართველობის შექმნა, უქმდება მერის წარმომადგენლობის ინსტიტუტი, იქმნება მუნიციპალიტეტის სერვისები, ასევე მოქალაქეებს შეეძლებათ თავიანთ უბანში საჭირო ინფორმაციის მიღება.

სხდომის თავმჯდომარემ ს. თეზიძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 18 საკრებულოს წევრი

კენჭისყრისას სხდომას არ ესწრებოდა: 3 ( ზ. ნაკაიძე, ი. თოფურიძე, ნ. ზოიძე)

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 18

წინააღმდეგი - 0

დ ა ა დ გ ი ნ ე ს :

მიღებული იქნა წარმოდგენილი  
განკარგულების პროექტი.

მ თ ი ს მ ი ნ ე ს :

14. „ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის უსასყიდლოდ, საკუთრების უფლებით გადაცემის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქონების მართვისა და ეკონომიკური პოლიტიკის სამსახურის უფროსი - ევარსლან ლომაძე)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის სახელზე 2018 წლის 06 მარტს გამოგზავნილია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის ბატონ ზურაბ პატარაძის №287/02 (№7764/25) წერილი, რომელშიც აღნიშნულია, რომ „სახელმწიფოს/აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის/ადგილობრივი თვითმმართველობის საკუთრებაში არსებული და ფიზიკური პირების მიერ საცხოვრებელ სადგომად გამოყენებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი ფართების შემსწავლელი შერეული სამთავრობო კომისიის“ 2017 წლის 08 დეკემბრის №19 საოქმო გადაწყვეტილების შესაბამისად მიზანშეწონილია ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებად რეგისტრირებული, ქალაქ ბათუმში, მეჯინისწყლის დასახლებაში მდებარე 137,7კვ.მ. ფართის შენობა-ნაგებობა და მასზე დამაგრებული 315 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკას გადმოეცეს საკუთრებაში, შემდგომში იქ მცხოვრები მოქალაქეებისათვის საკუთრების უფლებით გადაცემის მიზნით.

მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, მუნიციპალიტეტი არ არის უფლებამოსილი განახორციელოს, მუნიციპალიტეტის საკუთრებად რეგისტრირებული უძრავი ქონების პირდაპირი წესით განკარგვა და ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა ითხოვს, რომ აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკას საკუთრებაში გადაეცეს ქალაქ ბათუმის მუნიციპალურ საკუთრებად რეგისტრირებული, ქალაქ ბათუმში, მეჯინისწყლის დასახლებაში მდებარე 137,7კვ.მ. ფართის შენობა-ნაგებობა და მასზე დამაგრებული 315 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კ №05.32.09.076).

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია მიზანშეწონილად მიიჩნევს ზემოაღნიშნული უძრავი ქონების აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის უსასყიდლოდ, საკუთრების უფლებით გადაცემას, შემდგომში იქ მცხოვრები მოქალაქეებისათვის საკუთრების უფლებით გადაცემის მიზნით.

წინამდებარე პროექტის მიღების ძირითადი არსია „სახელმწიფოს/აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის/ადგილობრივი თვითმმართველობის საკუთრებაში არსებული და ფიზიკური პირების მიერ საცხოვრებელ სადგომად გამოყენებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი ფართების შემსწავლელი შერეული სამთავრობო კომისიის“ საქმიანობაში ხელშეწყობა.

სხდომის თავმჯდომარემ ს. თებიძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 19 საკრებულოს წევრი



კენჭისყრისას სხდომას არ ესწრებოდა: 2 (ზ. ნაკაიძე, ი. თოფურიძე)

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 19  
წინააღმდეგი - 0

**დ ა ა დ გ ი ნ ე ს :** მიღებული იქნა წარმოდგენილი  
განკარგულების პროექტი.

**მ თ ი ს მ ი ნ ე ს :**

15. „თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის ტერიტორიაზე პარკირების საერთო ადგილებით და პარკირების სპეციალური ადგილებით სარგებლობისათვის საფასურის დადგენის შესახებ“ 2013 წლის 28 თებერვლის №4 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქონების მართვისა და ეკონომიკური პოლიტიკის სამსახურის საქალაქო ტრანსპორტის განყოფილების უფროსი - ემზარ ქავკარაძე)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ქ.ბათუმში „თბილისის მოედანზე“ პარკირების ადგილების და საზოგადოებრივი ტრანსპორტის ოპტიმიზაცია, მათ შორის მუნიციპალური ავტობუსისათვის გამოყოფილი სპეციალური გაჩერების ადგილები ტრანსფორმაციულ გავლენას მოახდენს ქალაქში კერძო და საზოგადოებრივი ტრანსპორტის ორგანიზებაზე და გააუმჯობესებს შექმნილ სიტუაციას უკეთესობისაკენ. შესაბამისად მიზანშეწონილია კერძო ტრანსპორტის, პარკირებისა და საზოგადოებრივი ტრანსპორტის მონიტორინგისა და კონტროლისთვის საჭირო ინფრასტრუქტურის მოწყობა თბილისის მოედანზე.

**ა ზ რ ი**

**გ ა მ თ ე ქ ვ ე ს :**

საკრებულოს წევრი რ. თავართქილაძე მხარს უჭერს წარმოდგენილ პროექტს, რადგან მოუწესრიგებელი იყო ქალაქის ეს ნაწილი. მან წამოაყენა წინადადება ქალაქის მაცხოვრებლებისათვის პარკირების გადასახადის შემცირების თაობაზე.

საკრებულოს წევრმა ნ. ზოიძემ აღნიშნა, რომ ფასების დიფერენციაცია დისკრიმინაციად აღიქმება და სერიოზული ჯარიმები დაეკისრებათ.

სხდომის თავმჯდომარემ ს. თებიძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 20 საკრებულოს წევრი  
კენჭისყრისას სხდომას არ ესწრებოდა: 1(ნ. ცინცაძე)

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 20

და ა ა დ გ ი ნ ე ს :

მიღებული იქნა წარმოდგენილი  
დადგენილების პროექტი.

მ თ ი ს მ ი ნ ე ს :

16. „ქალაქ ბათუმის გარკვეული ტერიტორიებისათვის განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის მოსამზადებლად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის არქიტექტურისა და ურბანული დაგეგმარების სამსახურის უფროსის მოადგილე, უფროსის მოვალეობის შემსრულებელი - მირიან მეტრეველი)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ „ქალაქ ბათუმის გარკვეული ტერიტორიებისათვის განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის მოსამზადებლად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ განკარგულების პროექტის მიღების მიზანია, დამტკიცდეს „ქალაქ ბათუმის გარკვეული ტერიტორიისათვის განაშენიანების რეგულირების გეგმა“, რომელიც სამომავლოდ უზრუნველყოფს ქ. ბათუმის გარკვეული ტერიტორიებისათვის, კერძოდ მწვანე კონცხის განვითარებას საკურორტო-სარეკრეაციო მიმართულებით, მისი მრავალფეროვანი ფიზიკურ-გეოგრაფიული პირობებისა და კულტურული ფასეულობების შენარჩუნების გათვალისწინებით.

სხდომის თავმჯდომარემ ს. თებიძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 20 საკრებულოს წევრი  
კენჭისყრისას სხდომას არ ესწრებოდა: 1(ნ. ცინცაძე)

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 20  
წინააღმდეგი - 0

და ა ა დ გ ი ნ ე ს :

მიღებული იქნა წარმოდგენილი  
განკარგულების პროექტი.

მ თ ი ს მ ი ნ ე ს :

17. „ქალაქ ბათუმის გარკვეული ტერიტორიისათვის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის მოსამზადებლად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ქ. ბათუმის გარკვეული ტერიტორიისათვის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის მოსამზადებლად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ განკარგულების პროექტის მიღების მიზანია, ქალაქ ბათუმის გარკვეული ტერიტორიისათვის, კერძოდ ქალაქ ბათუმში, მწვანე კონცხის დასახლებაში მდებარე მიწის ნაკვეთისათვის (საკადასტრი კოდი N05.34.25.664) განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების დამტკიცება. შესაბამისად „ქალაქ ბათუმის გარკვეული ტერიტორიებისთვის განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის მოსამზადებლად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ განკარგულების მიღება.

სხდომის თავმჯდომარემ ს. თებიძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 20 საკრებულოს წევრი  
კენჭისყრისას სხდომას არ ესწრებოდა: 1(ნ. ცინცაძე)

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 20  
წინააღმდეგი - 0

**და ა ა დ გ ი ნ ე ს :** მიღებული იქნა წარმოდგენილი  
განკარგულების პროექტი.

**მ თ ი ს მ ი ნ ე ს :** 18. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ერთეულების შექმნისა და მათი საზღვრების დადგენის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 29 აგვისტოს №29 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის აპარატის უფროსი - ნუკრი დეკანაძე)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ერთეულების შექმნისა და მათი საზღვრების დადგენის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 29 აგვისტოს №29 დადგენილებაში შეტანილ იქნას ცვლილება:

ა) დადგენილების პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი ჩემოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„დ) ბაგრატიონის პირველი ადმინისტრაციული ერთეული;“

ბ) დადგენილების პირველ პუნქტს „დ“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი რედაქციის „დ<sup>1</sup>“ ქვეპუნქტი:

„დ<sup>1</sup>) ბაგრატიონის მეორე ადმინისტრაციული ერთეული;“



„2<sup>1</sup>. დამტკიცდეს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ერთეულების საზღვრების სქემატური რუკა, თანახმად დანართისა.“.

სხდომის თავმჯდომარემ ს. თეზიძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა 20 საკრებულოს წევრი  
კენჭისყრისას სხდომას არ ესწრებოდა 1(ნ. ცინცაძე)

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 20  
წინააღმდეგი - 0

**დ ა ა დ გ ი ნ ე ს :** მიღებული იქნა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

**მ თ ი ს მ ი ნ ე ს :**

19. „თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის ტერიტორიაზე დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების შესახებ“ თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის საკრებულოს 2012 წლის 14 სექტემბრის №50 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

(მომხს: სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტის ბათუმის ფილიალის ხელმძღვანელი - ნათია აფხაზავა)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ქ. ბათუმის ისტორიულ უბანში ზ. გამსახურდიას ქ. №11-ში 2013 წლის 21 სექტემბერს მომხდარი ხანძრის შედეგად დაიწვა 221 კვ.მ მიწის ნაკვეთზე მდებარე სამსართულიანი საცხოვრებელი შენობა და საცხოვრისის გარეშე დარჩა 9 ოჯახი. აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში სტიქიური მოვლენების შედეგად მიყენებული ზარალის სალიკვიდაციო შერეული სამთავრობო კომისიის 2014 წლის 02 მაისის საოქმო გადაწყვეტილებით თვითმმართველ ქ. ბათუმის მერიას გამოეყო 45000 ლარი მითითებულ ოჯახებზე გადასაცემად და ასევე მიეცა რეკომენდაცია ხანძრის შედეგად განადგურებული სახლის რეაბილიტაციისათვის ინვესტორთა მოზიდვის ან „ძველი ბათუმის“ პროექტის ფარგლებში სახლის აღდგენის თაობაზე, თუმცა მითითებული სახლის აღდგენა ვერ განხორციელდა და ამ მიზნით ვერც ინვესტორი იქნა მოძიებული. დაზარალებულებს საკუთრებაში გადაეცემათ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საბინაო ფონდში რიცხული ბინები, ამასთანავე მიეცემათ რემონტის თანხები 1 კვადრატულ მეტრზე 250 ლარის ოდენობით. აღნიშნული თანხები გათვალისწინებული იქნება ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტში, რა მიზნითაც დაგეგმილია შესაბამისი ცვლილებების შეტანა ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 26 დეკემბრის №41 დადგენილებაში.

**ა ზ რ ი**

**გ ა მ თ ქ გ ე ს :**

საკრებულოს წევრმა ო. მახარაძემ აღნიშნა, რომ წარმოდგენილ პეტიციასთან დაკავშირებით საკრებულოს იურიდიულ და საპრო-

ცედურო საკითხთა კომისიას აქვს უარყოფითი დასკვნა, პროცედურულ და სამართლებრივ ნაწილში ადგილი აქვს შემდეგ სამართლებრივ ნორმებთან შეუსაბამობას, ნორმატიული აქტების შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-9 პუნქტის შესაბამისად, თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, კანონქვემდებარე ნორმატიული აქტის მიღება შეიძლება მიმღები გამომცემი ორგანოს თანამდებობის პირის მიერ, მისი კომპეტენციის ფარგლებში. პროცედურულ ნაწილში წარმოდგენილი პეტიცია ვერ ჯდება მოთხოვნათა ჩარჩოში. მოცემული პროექტი წარმოადგენს მერის უფლებამოსილებათა მიკუთვნებულ საკითხს. კოდექსის 54-ე მუხლის კერძოდ „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად მერის უფლებამოსილებათა შეიშუშავს და საკრებულოს დასამტკიცებლად წარუდგინოს მუნიციპალიტეტის სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვის დოკუმენტები, ხოლო საკრებულო თავისი უფლებამოსილების ფარგლებში ღებულობს შემდეგი სახის გადაწყვეტილებას, როცა კოდექსის მე-16 მუხლის „ე“ ქვეპუნქტის ჩანაწერის მიხედვით მუნიციპალიტეტის სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვა და შესაბამის სფეროში ნორმებისა და წესების განსაზღვრა. მოცემული საკანონმდებლო ჩანაწერი ნათლად მიუთითებს კომპეტენციების ზღვარს. კანონის მე-20 მუხლის მე-5 პუნქტი პირდაპირ მიუთითებს, რომ სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვის ორგანიზებას უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო. ინიციატივა კარგია, მაგრამ პირდაპირ აღმასრულებელი ორგანოს-მერის ექსკლუზიური უფლებამოსილებათა.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ცვლილების უფლება აქვს მერიას, თუმცა ამ კუთხით პეტიციის ინიცირების იდეის არსი მდგომარეობს იმაში, რომ ეს იდეა განიხილოს საკრებულომ.

სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ იგი ვერ დაუჭერს მხარს წარმოდგენილ პროექტს, რადგანაც აღნიშნული საკითხი საკრებულომ შეიძლება განიხილოს მერის წარდგინებით. ამდენად, წარმოდგენილი ფორმით პროექტის მიღება სცილდება საკრე-

ბულოს კომპეტენციას.

სხდომის თავმჯდომარემ ს. თებიძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა 19 საკრებულოს წევრი  
კენჭისყრისას სხდომას არ ესწრებოდა 2 (დ. ჭეიშვილი, ი. თოფურიძე)

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 2 (რ. თავართქილაძე, დ. მამულაძე)  
წინააღმდეგი - 16  
არ მიიღო მონაწილეობა - 1 (ზ. ნაკაიძე)

**დ ა ა დ გ ი ნ ე ს :** არ იქნა მიღებული წარმოდგენილი დადგენილების პროექტი.

**მ თ ი ს მ ი ნ ე ს :**

**20. „საქართველოს საერთო სასამართლოებში ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წარმომადგენლის დანიშვნის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.**

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის იურიდიული განყოფილების უფროსი - სულიკო შვენთიძე)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 24-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ.ზ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, წინამდებარე განკარგულებით განისაზღვრება ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირები, საქართველოს საერთო სასამართლოებში იმ სასამართლო დავებთან დაკავშირებით, რომელშიც მხარეს წარმოადგენს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო, როგორც კონკრეტული საჯარო დაწესებულება (ადმინისტრაციული ორგანო).

საქართველოს საერთო სასამართლოებში ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს (შემდგომ ტექსტში - „მარწმუნებელი“) წარმომადგენლად დაინიშნოს:

ა) საკრებულოს აპარატის იურიდიული განყოფილების უფროსი - სულიკო შვენთიძე (პ/№61005000222) (შემდგომ ტექსტში - „რწმუნებული“);

ბ) საკრებულოს აპარატის იურიდიული განყოფილების უფროსი სპეციალისტი ელენე ჭოლიკიძე (პ/№01014005109) (შემდგომ ტექსტში - „რწმუნებული“).

სულიკო შვენთიძეს (პ/№61005000222) და ელენე ჭოლიკიძეს (პ/№01014005109) მიენიჭოთ უფლებამოსილება, რომ დაიცვან მარწმუნებლის ქონებრივი და არაქონებრივი ინტერესები, რისთვისაც წარმოადგინონ მარწმუნებელი საქართველოს ყველა ინსტანციის საერთო სასამართლოში, აწარმოოს როგორც სამოქალაქო, ადმინისტრაციული, ისე სისხლის სამართლის და სხვა შესაბამისი საქმეები. ამ დავალების განსახორციელებლად რწმუნებული უფლებამოსილია მარწმუნებლის სახელით შეასრულოს ყველა ის მოქმედება და პროცედურა, რაც დადგენილია საქართველოს კანონმდებლობით, მათ შორის: შეიტანოს განცხადება, საჩივარი, შუამდგომლობა ან სარჩელი, წარადგინოს შესაგებელი (შეპასუხება), შეგებებული

სარჩელი, გაეცნოს საქმის მასალებს და ასევე სხვა ინფორმაციას, გააკეთოს ამონაწერები ამ მასალებიდან, განაცხადოს აცილება, გადაიღოს ასლები, წარადგინოს მტკიცებულებები, შეკითხვები დაუსვას მოწმეებს, ექსპერტებს, სპეციალისტებს, წარადგინოს შუამდგომლობები, უარყოს მეორე მხარის შუამდგომლობები, დასკვნები და მოსაზრებები, ნაწილობრივ ან მთლიანად უარი თქვას სარჩელზე, შეცვალოს სარჩელის საგანი, შეამციროს ან გაადიდოს სარჩელის მოთხოვნის მოცულობა, ცნოს და უარყოს სარჩელი, დაამთავროს საქმე მორიგებით, გაასაჩივროს სასამართლოს ნებისმიერი გადაწყვეტილება, ადმინისტრაციული აქტი, წარადგინოს სააპელაციო, საკასაციო საჩივარი, მიიღოს მონაწილეობა აღსრულების პროცესში, აიღოს სააღსრულებლო ფურცელი და მოაწეროს ხელი ყველა შესაბამის დოკუმენტაციას. რწმუნებული ვალდებულია ყველა მოქმედება შეასრულოს პირადად და კეთილსინდისიერად, განახორციელოს ნებისმიერი სხვა მოქმედება, რაც პირდაპირ არ არის მითითებული ამ რწმუნებულებაში, მაგრამ აუცილებელია მარწმუნებლის უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დასაცავად.

სხდომის თავმჯდომარემ ს. თებიძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 19 საკრებულოს წევრი  
კენჭისყრისას სხდომას არ ესწრებოდა: 2 (დ. ჭეიშვილი, ი. თოფურბიძე)

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 19  
წინააღმდეგი - 0

**დ ა ა დ გ ი ნ ე ს :** მიღებული იქნა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს სხდომა დახურულად გამოაცხადა.

საკრებულოს თავმჯდომარე:  
თებიძე

სულიკო

საკრებულოს თავმჯდომარის  
მოადგილე:

თამაზ სალუქვაძე



ოქმის სისწორეს  
ვადასტურებ:

რ. ბოლქვაძე – საკრებულოს აპარატის უფროსი

ვიზირებულია:

ს. შვენთიძე - საკრებულოს აპარატის იურიდიული  
განყოფილების უფროსი

მ. თურმანიძე - საკრებულოს აპარატის საქმისწარმოებისა  
და ადამიანური რესურსების მართვის  
განყოფილების უფროსი

ოქმი შეადგინა:

მ. წულუკიძე — საკრებულოს აპარატის საქმისწარმოებისა  
და ადამიანური რესურსების მართვის  
განყოფილების უფროსი სპეციალისტი

